სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080115690538024

№ 271 25 / იანვარი / 2024 წ.

შპს „ჯავახავტოგზის“ თეთრ სიაში დარეგისტრირების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2024 წლის 12 იანვარს წარმოდგენილ იქნა შპს „ჯავახავტოგზის“ (ს/ნ: 223352930) 2024 წლის 12 იანვრის № 2 მომართვა (რეგისტრაციის № 289), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში დარეგისტრირება. მიმწოდებელმა 2024 წლის 24 იანვარს წარმოადგინა 2024 წლის 24 იანვრის № 4 დაზუსტებული მომართვა (რეგისტრაციის № 767), რომლითაც მან გამოასწორა მის თავდაპირველ მომართვაზე სააგენტოს 2024 წლის 23 იანვრის №207 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვები თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 მუხლით და დაადგინა:

1. შპს „ჯავახავტოგზა“ (ს/ნ: 223352930) 2024 წლის 26 იანვარს დარეგისტრირდეს თეთრ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე